

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №17

ქ. თბილისი

28.12.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)
თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
სოფიკო ლომაჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;
ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
პაატა ბრეკაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;
ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თეკლე კაპანაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ია ჟვანია - პროგრამის ხელმძღვანელი;

დავით თარხნიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;

ელენე ჟურავლიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

არჩილ ჯანგირაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი; სოსო გოგლიძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ჯონი მწარიაშვილი - ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;

თინათინ ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

დავით ბერიკაშვილი - არქეოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი.

3. შპს საქართველოს ბანკის საწავლო უნივერსიტეტი:

აკაკი ხელაძე - სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

ლელა ლატარია - სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

მანანა ხაჩიძე;

ნათია ღაჭავაძე;

გიორგი ჯაფარიშვილი;

ანი ბილანიშვილი;

ნოდარ ბახტაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:24 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედული ნეირომეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრების სახელით დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე მისი განხილვა მომხდარიყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ ბოლო საკითხად. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა და საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედული ნეირომეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად დაამტკიცა.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედული ნეირომეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	უჯრედული ნეირომეცნიერება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს ორი წევრი - სოფიკო ლობჟანიძე და დიმიტრი ჯაფარიძე საქმიანობდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადეს თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ დასკვნა მოცემული პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტმა ნათია ლაჭავაძე საბჭოს განუცხადა, რომ მიუხედავად სხვადასხვა ხასიათის შეკითხვებისა პროგრამა სრულიად აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სრულად უჭერდა მხარს იმას, რომ პროგრამა წარმატებით განხორციელებულიყო. ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ ვიზიტის დროს შეხვდნენ დამსაქმებლებს, რომელთანაც უნივერსიტეტს მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული. გარდა ამისა, ექსპერტის განცხადებით პროგრამას ჰყავდა უცხოელი პარტნიორები, რაც, ასევე მის დადებით მხარეს წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მიუხედავად დადებითი დასკვნისა, რას აპირებდნენ პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის და რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა უნივერსიტეტი, რათა საგანმანათლებლო პროგრამა კიდევ

უფრო დახვეწილიყო. საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, ექსპერტების მხრიდან პროგრამაში რომელი უცხოური უნივერსიტეტების ჩართვაზე იყო საუბარი. .

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ იკითხა, რამდენი დოქტორანტის მიღებას აპირებდა უნივერსიტეტი პროგრამაზე აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა, მიუხედავად ექსპერტების დადებითი შეფასებისა და ასევე თვითშეფასების პოზიტიურობისა, რა მიწისუბი ჰქონდა პროგრამას და რამდენად მდგრადი იყო იგი.

საბჭოს წევრმა ირინე გოცირიძემ ჰკითხა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რამდენად შეძლებდა ახალი პროგრამა სხვადასხვა უნივერსიტეტიდან მოსული, სხვადასხვა ფაკულტეტებისა და პროგრამების სტუდენტების მიღებას, ანუ რამდენად იყო შეთავაზებული კურსები, რომ სხვა სფეროდან მოსულ დოქტორანტს სირთულის მიხედვით შეძლებოდათ მათი არჩევა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სთხოვა საკუთარი თავის წარდგენა, ამასთანავე, იგი დაინტერესდა, იყო თუ არა სხდომაზე რექტორი, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რექტორი ვერ ესწრებოდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომას და წარმომადგენელს საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის ინტერესების წარმომადგენის უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ამ პროგრამას მხარს უჭერდა, რადგან მასში ჩართული იყო კომპეტენტური და სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. ასევე, მისი მოსაზრებით, პროგრამას ჰქონდა კვლევითი რესურსები და პროგრამის ერთ-ერთ სიძლიერეს წარმომადგენელმა რუსთაველის ფონდის საგრანტო მხარდაჭერა, ასევე საბიუჯეტო დახმარება ბერიტაშვილის სამეცნიერო ინსტიტუტის მხრიდან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ ზოგადად უნივერსიტეტი ორიენტირებული იყო კვლევით საქმიანობაზე და ყველა პროგრამა, მათ შორის წარმომადგენილი პროგრამაც ორიენტირებული იყო კვლევით საქმიანობაზე. ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის დოქტორანტს მოეთხოვებოდა სტატიების მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება, ასევე კვლევითი საქმიანობის განხორციელება საკვლევ ველზე გასვლით, რაზეც მისი თქმით, დოქტორანტს მუდმივად დაეხმარებოდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

გიორგი თურქია დაინტერესდა, იქიდან გამომდინარე, რომ საწყის ეტაპზე სადოქტორო პროგრამა ფინანსდებოდა რუსთაველის ფონდის მიერ, შემდგომში ფონდის მხრიდან დაფინანსების შეწყვეტა ხომ არ გამოიწვევდა პროგრამის ფინანსური მდგრადობის საშიშროებას. აღნიშნულ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი საკუთარი რესურსებით გააგრძელებდა კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას. ასევე, უნივერსიტეტი მკვლევარებს უზრუნველყოფდა ხელფასით, სტიპენდიით და კვლევისთვის საჭირო სხვადასხვა რესურსებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმეორებით ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამაზე მისაღები დოქტორანტების რაოდენობის შესახებ. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროგრამაზე თავდაპირველად იგეგმებოდა სამი დოქტორანტის მიღება, შემდეგომ პერიოდში კი კურსდამთავრებულების წარმატების მაჩვენებლით განისაზღვრებოდა დოქტორანტთა მიღების საკითხი.



საბჭოს წევრის ირინე გოცირიძეს შეკითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად დაძლევა განსხვავებული საბაზისო განათლების მქონე სტუდენტი წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების დაძლევა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სხვადასხვა სფეროდან/დარგიდან სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს საშუალება ექნებოდათ გველოთ აღდგენითი (ე.წ Remedial) კურსები, ასევე საჭიროების შემთხვევაში მათ ექნებოდათ საშუალება შესაბამისი კურსები აერჩიათ სამაგისტრო საფეხურიდანაც. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ პროგრამაზე მიღების დროს, გათვალისწინებული იყო კვლევითი განაცხადის გაკეთება, რაც მაქსიმალურად გამორიცხავდა პროგრამაზე მოუმზადებელი სტუდენტის მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, დაეკონკრეტებინათ ინფორმაცია პროგრამაში ჩართული უცხოელი პარტნიორების შესახებ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მკვლევარები დიდი ხანია თანამშრომლობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მის კვლევით ცენტრებთან. მისი თქმით, თანამშრომლობის ასპექტები საკმაოდ ფართო იყო და მოიცავდა ლოზანას უნივერსიტეტის ლაბორანტების ვიზიტს უნივერსიტეტში და რომელიმე დოქტორანტის თანახელმძღვანელობას. თანამშრომლობა ასევე სპეციალურ მიკროსკოპზე მუშაობასაც მოიცავდა, რომელიც ამ სკოლის საკუთრებაში იყო.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა, ზოგადად რა ასაკისა და გამოცდილების სტუდენტების მიღებას ელოდებოდა დაწესებულება წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სავარაუდო ასაკი დოქტორანტების იქნებოდა 35 წელი და ეს დაშვება მათ გამოიტანეს მას შემდეგ, რაც, სტუდენტების დაინტერესებისა და ინფორმირებულობის მიზნით, დაიწყო შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან ტრენინგების ჩატარება., უნივერსიტეტის განცხადებით, ტრენინგები ტარდებოდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოთხოვნით.

საბჭოს წევრმა ირინე გოცირიძემ დასვა კითხვა, რამდენად ფიქრობდა დაწესებულება პროგრამის სამომავლო ტექნოლოგიურ განვითარებაზე. აღნიშნულ კითხვაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი კოლაბორაციაში იყვნენ ამ საკითხთან დაკავშირებით და ისინი ერთობლივად ცდილობდნენ პროგრამის სამომავლო განვითარებას.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს გათვლილი პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებული სამომავლო რისკები და შეძლებდა თუ არა იგი გაეგრძელებინა საქმიანობა მაშინაც კი, თუკი რუსთაველის ფონდის დაფინანსება შეუწყდებოდა. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის კვლევითი საქმიანობის განხორციელება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა და დაწესებულებას ჰქონდა საკუთარი სახსრები და რესურსები, რომელთა გამოყენებითაც წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა წარმატებით გააგრძელებდა ფუნქციონირებას. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით, რისკები და თანხები დათვლილი იყო და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, პროგრამა, პარტნიორების დახმარებით, თავისუფლად შეძლებდა ფუნქციონირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედული ნეირომეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედული ნეირომეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქეოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტმა ნოდარ ბახტაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო ზოგადად დადებითი. ექსპერტის მოსაზრებით, სამაგისტრო პროგრამა იყო საინტერესო და მნიშვნელოვანწილად პრაქტიკაზე იყო ორიენტირებული, რასაც ცხადყოფდა ნოქალაქეზე სპეციალურად პროგრამისთვის მოწყობილი სამუშაო ბაზა და პროგრამის სწავლების კომპონენტით გათვალისწინებული საკითხების შესახებ ჩატარებული კონფერენცია. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დადებით ფაქტორად უნდა ყოფილიყო მიჩნეული ის გარემოება, რომ ზოგადად უნივერსიტეტში არქეოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით ბევრი კონფერენცია ტარდებოდა. აკრედიტაციის ექსპერტის განმარტებით ვიზიტის დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო, რაოდენ საინტერესოდ იქნა შემოტანილი ამ სფეროში მომიჯნავე დისციპლინები: პალეოლოგია, ბიოანთროპოლოგია, ლაზერული სკანირება და ა.შ. შესაბამისად, მისი შეხედულებით, პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენდა ის, რომ პროგრამა შეიცავდა და შედგებოდა მომიჯნავე დისციპლინების სწავლებისგან.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ სწავლებისა და პროგრამის შემუშავებაში ჩართული სპეციალისტები იყვნენ სათანადო კვალიფიკაციის, ასევე დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ეროვნულ მუზეუმთან, რომლის თანამშრომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესის განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყვნენ თუ არა მუზეუმის თანამშრომლები ასევე უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობებზე არჩეულები, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მუზეუმში მომუშავე პერსონალი მხოლოდ მოწვეული პედაგოგების სტატუსით იყვნენ პროგრამაში ჩართულნი.

აკრედიტაციის საბჭოს წევრი ნატო გენგიური შეეკითხა ექსპერტს რას გულისხმობდა ის თავის დასკვნაში, როდესაც საუბრობდა პროგრამის შემუშავებაში მომიჯნავე პროგრამების პერსონალის ჩართულობაზე. ასევე, საბჭოს წევრებს გაუჩნდათ ეჭვი, ხომ არ გულისხმობდა ეს უკანასკნელი პედაგოგების აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევას, რაზეც როგორც აკრედიტაციის ექსპერტმა, ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ აკადემიური პერსონალი სილაბუსების წერის პროცესში სრულიად თავისუფალი იყო და მომიჯნავე პროგრამიდან ექსპერტი მხოლოდ სპეციფიკის შემუშავებაში ეხმარებოდა პედაგოგს და არა რაიმე სახის აკადემიურ ჩარჩოში სვამდა მას.

ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დააკონკრეტა, რომ უნივერსიტეტში არსებობდნენ სილაბუსების ავტორები და კურატორები და სწორედ კურატორები იყვნენ ის ადამიანები, რომლებზეც აკრედიტაციის ექსპერტი საუბრობდა. მისი თქმით, კურატორი პედაგოგზე მეტად იყო ჩახედილი აკრედიტაციის სტანდარტებში, და იგი პედაგოგს ეხმარებოდა სილაბუსის ადმინისტრაციულად მართვაში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ პროგრამის მიერ შემოთავაზებული საგნების ჩამონათვალი არის მრავალფეროვანი და აქვე იკითხა იყო თუ არა ყველა საგანი ერთნაირად დამლევადი, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა კურსი ერთიანი სირთულის ვერ იქნებოდა, რადგან ზოგიერთი მათგანი იყო ჰუმანიტარული მიმართულების, ზოგიერთი კი - ტექნიკური მიმართულების.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განმარტა, რომ კითხვის არსი კურსების კრედიტების მოცულობაში მდგომარეობდა და მან იკითხა, რამდენად რელევანტური იყო სხვადასხვა სირთულის კურსებს რომ ერთნაირი მოცულობის კრედიტები ჰქონდა. აგრეთვე, გიორგი თურქიამ დაამატა კითხვა, რას გულისხმობდა და რა საჭიროებას წარმოადგენდა პროგრამაში ჩაწერილი ორი სხვადასხვა შეფასების სისტემა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტში შეფასება ხდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, ასევე, უნივერსიტეტში არსებობდა მეორე შეფასების სისტემაც, რომელიც გამიზნული იყო სტუდენტების წახალისებისთვის.

გიორგი ქვარცხავამ ასევე იკითხა, რამდენად შეესაბამებოდა აკადემიური პერსონალის მიერ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო შრომებში მითითებული პერიოდიკა - როგორიცაა მაგალითად - „მაგთის“ გამოცემა, სტანდარტს. ეს უკანასკნელი მისი მოსაზრებით, სანდო ვერ იქნებოდა.

საბჭოს წევრ გიორგი ქვარცხავას ასევე ჰქონდა არსებითი ხასიათის შენიშვნები კურსებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ მან დაასახელა გეოფიზიკის კურსი, რომლის მასალა საკმაოდ კომპლექსური იყო და მისი მოსაზრებით, სტუდენტები მის დაძლევას ვერ შეძლებდნენ გარკვეული დისციპლინების გავლის გარეშე. მოცემულ

შემთხვევაში განსაკუთრებით გაუჭირდებოდათ იმ სტუდენტებს, რომლებსაც წინა საფეხური დამთავრებული ექნებოდათ სხვადასხვა მიმართულებით/დარგით. საბჭოს წევრი გიორგი ქვარცხავა ასევე დაინტერესდათუ როგორ ხდებოდა ლაბორატორიული მუშაობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა პრაქტიკებში, სადაც ისინი დააკვირდებიან ტექნიკას და მიიღებენ შესაბამის გამოცდილებას, რაც გარკვეულწილად აპრობირებული ირებული მეთოდი იყო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიერ შემოთავაზებული კურსების სათაურები ზედმეტად აკადემიური იყო და სასურველი იყო, ისინი უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით გადამეშავებულიყო, რათა სტუდენტებს უფრო გაუმარტივდეთ საგნის სპეციფიკის გააზრება და მათი არჩევა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ სილაბუსები იწერება სტუდენტებისთვის და ისინი მათთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს ფორმირებული.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა იყო თუ არა პროგრამაში გათვალისწინებული ისეთი კურსების სწავლება, რომელიც უზრუნველყოფდა, სტუდენტებისთვის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენების შესწავლას, გამომდინარე იქიდან, რომ არქეოლოგია წარმოადგენდა ტექნიკურ/ექსპერიმენტულ დარგს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა სამაგისტრო პროგრამის შემუშავება, მაშინ როდესაც, უნივერსიტეტში უკვე არსებობს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და ხომ არ იყო საშიშროება, რომ ეს ორი სხვადასხვა საფეხურის პროგრამა მნიშვნელოვანწილად იდენტური ყოფილიყო.

აკრედიტაციის ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სამაგისტრო პროგრამას დამატებული ჰქონდა რამოდენიმე ისეთი კურსი, რომელიც საბაკალავრო პროგრამაში ჯერ არ ისწავლებოდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დასძინა, რომ სამაგისტრო საფეხური იყო საბაკალავრო საფეხურის გაგრძელება და ისინი მაქსიმალურად შეეცადნენ სწავლების მეორე საფეხურზე შეეტანათ ისეთი კურსები, რომელთა სწავლება საბაკალავრო საფეხურზე, მათივე კოპლექსურობიდან გამომდინარე, იყო შეუძლებელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტი დაეყრდნო, როგორც საქართველოში არსებული უნივერსიტეტების, ასევე ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებას და ისე შეიმუშავეს კურიკულუმი და სწავლების მეთოდიკა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა მოქმედ საბაკალავრო პროგრამას რაიმე სახის გრანტი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს თავმჯდომარემ მოახსენა, რომ საბაკალავრო პროგრამა იყო ახალი და მასზე ირიცხებოდა მხოლოდ 10 სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სტუდენტთა მცირე რაოდენობა განაპირობებდა პროგრამის მაღალ ხარისხს. გარდა ამისა, აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ ბაკალავრიატის სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ სამშვილდის ნაქალაქარზე, ქართლის ექსპედიციებზე და ნოქალაქეში, რაც იწვევდა ბევრი აბიტურიენტის დაინტერესებას და მიუხედავად იმისა, რომ სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში ეს პროგრამა იყო უფასოა, საქართველოს უნივერსიტეტს მაინც ჰყავდა მოცემულ პროგრამაზე სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხით, კერძოდ ამ მიმართულებით თუ იგეგმებოდა კონკრეტული ღონისძიებების გატარება. აკრედიტაციის ექსპერტმა უპასუხა სხდომის თავმჯდომარეს, რომ სტუდენტები პრაქტიკას გაივლიდნენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი დაინტერესებული იყო წარმატებული კურსდამთავრებულების

უნივერსიტეტში დაბრუნებაზე და მას შემდეგ, რაც ისინი დაასრულებდნენ მაგისტრატურას, უნივერსიტეტი შეეცდებოდა მაქსიმალურად შეეწყო ხელი, რომ მათ საქმიანობა სწავლების მიმართულებით გაეგრძელებინათ უნივერსიტეტში.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ იკითხა ჰქონდა თუ არა პროგრამას კურსი, რომელიც კვლევით კომპონენტს ავითარებდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლევითი კომპონენტის განვითარება სხვადასხვა კურსებში იყო ჩაშლილი და სტუდენტები სხვადასხვა კურსებიდან იმენდნენ კონკრეტულ ცოდნას კვლევის შესახებ.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ წარმოდგენილ სილაბუსებში აღმოაჩინა უზუსტობა, კერძოდ არქეოლოგიის კურსში მითითებული იყო ინგლისურის საგნის სილაბუსი. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკური ხასიათის შეცდომას.

საბჭოს სხდომაზე 18:42 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:40 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი, საბჭოს მიაჩნდა, რომ სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის შეფასებისა და ანალიზის, ზეპირ მოსმენაზე გამოთქმული მოსაზრებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სათანადოდ განსახორციელებლად, უნივერსიტეტის მხრიდან საჭირო იყო შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- 1) უნდა გაძლიერდეს კვლევითი კომპეტენციის გამომუშავებისთვის საჭირო კურსების, მათ შორის დარგობრივი კვლევითი ცოდნის, მისი კომპეტენციისა და უნარების დამდგენი კურსების სწავლება ან უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხების უფრო მეტად ასახვა სხვადასხვა კურსებში;
- 2) გარკვეულ საგნებში, მაგალითად - „გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში“ უნდა მოხდეს შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობისა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა;
- 3) უფრო მეტად უნდა მოხდეს არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გამოიჯენა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის

პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში პროგრამაზე განახორციელოს მონიტორინგი და შეისწავლოს გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ საბჭოს მითითებები, ასევე მონიტორინგის ფარგლებში უნდა შეფასდეს არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის არსებული სხვაობის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით.

21:33-ზე საბჭოს წევრებმა ნათელა სახოკიამ და პაატა ბრეკაშვილმა დატოვეს სხდომა.

3.შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს შემდეგმა წევრმა: გიორგი თურქიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2015 წლის 12 ივნისის №53-ე გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება დაწესებულების მიერ გასაჩივრებულ იქნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. სასამართლომ უნივერსიტეტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 12 ივნისის №53 გადაწყვეტილება და ცენტრს დაევალი ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ინფორმატიკის პროგრამის აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით. ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები, რის შესაბამისადაც, ძალაში იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 იანვრის №3/5732 - 15 გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან სასამართლოს საკითვის გადაუწყვეტლად ცენტრს დაევალი საკითხის ხელახლა განხილვა, აკრედიტაციის საბჭო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ხელახლა განიხილავდა შპს საქართველოს

ბანკის უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამაზე შედგენილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და მოისმენდა დასკვნაში ასახულ გარემოებებზე დაწესებულების ზეპირ არგუმენტაციას.

სიტყვა მიეცა აკრედიტაციის ექსპერტს მანანა ხაჩიძეს.

აკრედიტაციის ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ძირითადი შენიშვნები::

1) პროგრამის კომპონენტების შინაარსი რიგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას. კერძოდ, კურსები: „შესავალი ალგორითმებში“ (3 კრედიტი), „დაპროგრამების ენები“ (5 კრედიტი), „კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია“ (4 კრედიტი), წარმოდგენილია კრედიტების მცირე მოცულობით.

2) 1.3 სტანდარტის შეუსაბამობა კვალიფიკაციის ჩარჩოსთან. კერძოდ, დარგობრივი საგნები იყო საკმაოდ მცირე მოცულობის -70 კრედიტი. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს პროგრამას საერთოდ არ გააჩნდა არჩევითი დარგობრივი საგნები. გარდა ამისა, ერთ-ერთი კურსის სილაბუსი, უფრო ზუსტად კი, პროექტი (IT-15) სილაბუსი, იყო მაგისტრატურის საფეხურის (კურსის სილაბუსის „სატიტულო გვერდზე“ მოცემული გახლდათ „უნდა მიეთითოს მაგისტრანტის...სახელი და გვარი“ და შინაარსის ნაწილში იკითხებოდა: „წარმოდგენილია მაგისტრის თეზისის დეტალური შემადგენლობა ქვესათაურებისა და გვერდის ნომრების მითითებით). ექსპერტის აზრით, ეს წარმოადგენდა ცალსახა დარღვევას.

3) ექსპერტმა საბჭოს ასევე გააცნო პროგრამის აკრედიტაციის 2.3-ის სტანდარტთან შეუსაბამობა, რომელიც დაშვების წინაპირობებს ეხება. ექსპერტის აზრით, გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან, მასალების თარგმნა არარელევანტურია. პროგრამას გააჩნია უცხოური ლიტერატურა, თუმცა დაშვების წინაპირობებში ნახსენები არ არის, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს გარკვეული დონის ცოდნა უცხო ენაში, რათა დაძლიოს შემოთავაზებული ლიტერატურა. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, კურსებში: „შესავალი ალგორითმებში“ და „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება“ დაშვების წინაპირობები დარღვეულია. ეს ორივე საგანი შინაარსობრივად მოითხოვს ერთმანეთს, როგორც წინაპირობა (შესავალი ალგორითმებში წიაპირობაა შესავალი დაპროგრამებაში, C++, ხოლო შესავალი დაპროგრამება, C++, სწავლის შედეგებში ნახსენებია ალგორითმების შედგენა).

4) ექსპერტის განცხადებით, პროგრამა არ იყო აგებული პრინციპით მარტივიდან-რთულისკენ. კერძოდ, პროგრამაში ისეთი საგნები, როგორიცაა, შესავალი ალგორითმებში, შესავალი ინფორმაციულ სისტემებში, ისწავლებოდა მე-6 და მე-5 სემესტრში, რაც ექსპერტთა შეფასებით, აუცილებელია ისწავლებოდეს პროგრამის საწყის ეტაპზე.

5) აკრედიტაციის ექსპერტმა ისაუბრა სწავლების ფორმებზე არსებულ პრობლემებზეც, რაც რიგი საგნების სწავლებაში ლაბორატორულ მეცადინეობას არქონას ითვალისწინებს. ექსპერტთა აზრით, იმისათვის რომ პროგრამის კურსდამთავრებულს ჰქონდეს სრულყოფილი ცოდნა, აუცილებელია დაწესებულებას გააჩნდეს სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ჰაბი, სვიჩი, ქსელური მოწყობილობები, კომპიუტერის არქიტექტურისთვის საჭირო ლაბორატორია, დედაპლატები, კვების ბლოკი და სხვა ლაბორატორიული ინსტრუმენტები). აკრედიტაციის ექსპერტმა ასევე გაიხსენა ვიზიტის დროს მისი და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის საუბარი, როდესაც რექტორმა მის კითხვას, თუ რატომ არ ჰქონდა პროგრამას კომპიუტერული ბაზა უპასუხა, რომ იგი არის ბიზნესმენი და ბაზას შეიძენს მას შემდეგ, რაც პროგრამა მიიღებდა აკრედიტაციას, რაც ექსპერტთა შეფასებით საკითხისამდი არასწორი

დამოკიდებულება იყო, ვინაიდან, იმისათვის, რომ პროგრამას მიეღო აკრედიტაცია, ამისათვის უნდა დაეკმაყოფილებინა აკრედიტაციის სტანდარტები.

აკრედიტაციის ექსპერტის გამოსვლის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების რექტორს.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ არსებული წარმოდგენილი დასკვნა იყო ის დასკვნა, რომლის არარელევანტურობაც სასამართლოს ორმა ინსტანციამ დაადასტურა. რექტორის განცხადებით, ეს დასკვნა იყო გამოკვლევებისა და შეფასებების გარეშე გაკეთებული. მისი თქმით, უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა საქმის მასალები და სასამართლოს გადაწყვეტილებები და მან აქვე აკრედიტაციის ექსპერტს ჰკითხა, დაესახელებინა სტანდარტი, რომელსაც უნივერსიტეტი არღვევდა.

ამ შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა რექტორს სესია კითხვა-პასუხის რეჟიმში არ წარემართა და საკუთარ მასალებზე ესაუბრა.

რექტორმა გააგრძელა ექსპერტის დასკვნაზე პასუხის გაცემა და აღნიშნა, რომ დარგის საგნები ვერანაირად ვერ იქნებოდა 70 კრედიტის მოცულობის რადგან მეორე ექსპერტის, კახა თავზარაშვილის დასკვნაშიც და პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტშიც 140 კრედიტი ფიქსირდება დარგის საგნად და არა 70.

მოცემულზე აკრედიტაციის ექსპერტა განაცხადა, რომ კრედიტების მოცულობა და შინაარსი ვერ უზრუნველყოფდა პროგრამის მიზნების მიღწევას, მან განუცხადა უნივერსიტეტის რექტორს, რომ პროგრამა არ სთავაზობდა სტუდენტს დარგიდან გამომდინარე საკმარის საგნებს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით არასწორი იყო რომ უნივერსიტეტი დარგისთვის კომპლექსურ კურსებს ასწავლიდა 3 ან 4 კრედიტის მოცულობის საგნებით.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ დარგში არის ძალიან ბევრი ქვედარგი და არ შეიძლება მაგალითად ბიზნესის ადმინისტრირებაზე ერთნაირად ასწავლო მაგალითად საგანი „პროექტების მართვა“, ან „ბიუჯეტირება“ მან ასევე დასძინა, რომ დარგის სტანდარტის კონკრეტულ პროგრამის მიზნებთან მიმართებაში გამოყენება არის არასწორი ქმედება.

კონკრეტულ საკითხს გამოეხმაურა აკრედიტაციის ექსპერტი მანანა ხაჩიძე და განაცხადა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამის იყო ინფორმატიკის ბაკალავრი და ის კურსები რაც სჭირდება ინფორმატიკის ბაკალავრს, ხარისხის სრული სტანდარტების დაცვით უნდა მიეწოდოს პროგრამის ფარგლებში, რასაც წარმოდგენილი პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა.

უნივერსიტეტის რექტორმა გააგრძელა საუბარი, იმის შესახებ, რომ არ არსებობს არანაირი არგუმენტი, თუ რატომ არის 3 და 4 კრედიტიანი საგნის არსებობა სტანდარტის დარღვევა. ასევე მან პასუხი გასცა ექსპერტის მტკიცებას საბაკალავრო საფეხურზე მაგისტრატურის სილაბუსის არსებობის შესახებ და თქვა, რომ ეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო.

რექტორმა ასევე განაცხადა, რომ არანაირი სტანდარტი არ ითხოვს არჩევითი საგნების არსებობას პროგრამაში და მან მისივე თქმით დასტურად მოიყვანა წერილი, რომელიც უნივერსიტეტმა მისწერა ცენტრს და მიიღო პასუხი, რომ მინიმალური კრედიტები უდა იყოს 120 კრედიტის ოდენობით და ამის შემდგომ უსდ-ს გადასაწყვეტია, თუ რა რაოდენობის უნდა იყოს ნებისმიერი არჩევითი საგანი.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობას, რექტორის განცხადებით ის აუცილებელი მინიმუმი, რაც პროგრამის სრულყოფილად მუშაობისთვის იყო საჭირო, უნივერსიტეტს გააჩნდა. ასევე, უსდ-ს რექტორის განცხადებით, უნივერსიტეტმა

განახორციელა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ინვესტიცია და სრული ლიცენზია შეიძინა MICROSOFT 365-ის პროგრამის, რაც უნივერსიტეტის ტექნიკურ უპირატესობად ითვლებოდა.

აკრედიტაციის ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისთვის და წარმატებით მუშაობისთვის იყო საჭირო არა Microsoft 365, არამედ საჭირო იყო სპეციალური კომპიუტერული კლასის არსებობა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა სათანადო ლაბორატორიული ინვენტარით, მაგალითად: სპეციალური ჰაბით, რომელსაც ექნებოდა ე.წ ვაერლესი და სპეციალური მოწყობილობები, რაც ექსპერტებმა ვიზიტის დროს ვერ აღმოაჩინეს.

რექტორმა ექსპერტს უპასუხა, რომ ეს ბაზა უნივერსიტეტს გააჩნდა ვიზიტის დროსაც და გააჩნია ახლაც, რაზეც ექსპერტმა მას გაახსენა საკუთარი სიტყვები ლაბორატორიის სამომავლოდ შეძენასთან დაკავშირებით და ასევე დასძინა, რომ ექსპერტებს არ უნახავთ შესაბამისი ლაბორატორია და დასკვნაც შესაბამისი გახლდათ.

არსებულის შემდეგ საბჭო დაინტერესდა, როგორ უნდა გამორკვეულიყო ვინ იყო მხარეებს შორის მართალი, რადგან ექსპერტი ერთს ამტკიცებდა და დაწესებულება მეორეს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ცენტრის თანამშრომლებს არსებობდა, თუ არა რაიმე მასალა აღნიშნულის გამოსარკვევად. ცენტრის თანამშრომელმა ქეთი ინანიშვილმა, რომელიც აკრედიტაციის ექსპერტებთან ერთად იმყოფებოდა ვიზიტზე, განაცხადა, რომ ვიზიტების დროს ცენტრის თანამშრომლის მიერ დგება სპეციალური ჩანაწერი, რომელიც ეგზავნებათ ექსპერტებს. ჩანაწერში ფიქსირდება, რომ ექსპერტებს კონკრეტული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოთხოვნის მიუხედავად არ უნახავთ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ დაწესებულებამ 2015 წლის 1 სექტემბერს ავტორიზაციითაც სცადა აღნიშნული პროგრამის დამატება, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსგან მიიღო უარი. ერთ-ერთი საკითხი, რომლის გამოც უარი ეთქვა დაწესებულებას, ასევე იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიის არარსებობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზი არ ფიქსირდებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ საბჭოს წევრებისთვის მიეწოდებინათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №9 სხდომის ოქმი. ცენტრის თანამშრომლებმა საბჭოს წევრებს მიაწოდეს ცენტრის ვებგვერდზე ატვირთული 2015 წლის 1 სექტემბრის №9 სხდომის ოქმი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ამონარიდი აღნიშნული ოქმიდან, სადაც დაფიქსირებული იყო ასევე, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა ინფორმაციის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პროგრამას ნამდვილად სჭირდებოდა სპეციალური აღჭურვილობა, რომელიც ვიზიტის ეტაპზე დაწესებულებას არ გააჩნდა. აღნიშნული აღჭურვილობის შეძენას დაწესებულება განახორციელებდა თუ მიენიჭებოდა აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი, მე-19 გვერდი).

მსჯელობა გაგრძელდა კონკრეტული კურსების შესახებ და რექტორი შეეხო „ალგორითმების“ საგნის თემას. მისი განცხადებით, კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი იყო არა ალგორითმების ძირეულ, არამედ მინიმალურ ცოდნაზე და შესაბამისად პროგრამა მარტივიდან-რთულამდე პრინციპით გახლდათ დალაგებული.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რას შეცვლიდა უსდ. მაშ შემდეგ, თუ მიიღებდა აკრედიტაციას, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა პროცესი მოითხოვს ცვლილებას და რა თქმა უნდა რამოდენიმე კომპონენტი გაივლიდა ცვლილებებს, მაგრამ არ მოხდებოდა მიზნებისა და მისიის ცვლილება.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა იმის შესახებ, თუ რატომ ასწავლდნენ პროგრამაზე ბიზნეს ანალიტიკას სტუდენტს, მაშინ როდესაც პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ინფორმატიკის ბაკალავრი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონკრეტული პროგრამა ორიენტირებული იყო ასევე ბიზნეს ანალიტიკის შესწავლაზე.

საუბარი კვლავ გაგრძელდა არჩევითი საგნების თემატიკაზე და სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის თანამშრომელს მაია გელაშვილს გაეცნო მხარეებისთვის არჩევითი საგნების სპეციფიკა, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი აღნიშნული საკითხის განხილვაში მხარეს არ წამოადგენდა.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ, როდესაც დაწესებულებას სურს აკრედიტაციის მიღება, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, მნიშვნელოვანი იყო, რომ, საბაკალავრო პროგრამამ სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა, ხოლო, იმისათვის რომ ფართო ცოდნა მიიღოს სტუდენტმა, საჭიროა საბაკალავრო პროგრამაში არჩევითი საგნების კომპონენტის არსებობა.

უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ პროგრამას გააჩნია, როგორც არჩევითი საგნები, ასევე თავისუფალი კომპონენტი.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა კონკრეტულ პროგრამაში ყოფილიყო უფრო მეტი არჩევანი IT სფეროდან, რადგან ეს უკანასკნელი სრულ თანხვედრაში მოვიდოდა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა ურჩიეს სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ხომ არ ჯობდა პროგრამისთვის დაერქმიათ ბიზნეს-ანალიტიკის ან რაიმე მსგავსი სახელი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსის მიხედვით, იგი ითვალისწინებდა სხვადასხვა სამართლებრივი კურსების სწავლებას, მაგალითად ბიზნესის სამართლებრივი რეგულირებას. იგი დაინტერესდა, რამდენად მოდის კორელაციაში კონკრეტული სილაბუსი პროგრამის მიზანთან და შედეგთან. ასევე, მისი თქმით, პროგრამაში ნახსენებია, რომ სტუდენტი კურსების დასრულების შემდგომ დაიცავს პროფესიულ ეთიკას, დაიცავს სხვადასხვა ნორმებს და იხელმძღვანელებს პროფესიული სტანდარტებიდან გამომდინარე. იგი დაინტერესდა, კონკრეტულად რომელი კურსების მეშვეობით აპირებდა პროგრამა ამ შედეგზე გასვლას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში არის კურსი „პროფესიული ეთიკა“ და ეს საგანი გაიყვანდა ზემოაღნიშნულ შედეგებზე.

საბჭოს წევრის დიმიტრი ჯაფარიძის მოსაზრებით, ბიზნეს ანალიტიკოსს უნდა ჰქონოდა საინფორმაციო ტექნოლოგიების მაღალი ცოდნა, მისი თქმით, დოკუმენტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ დიდი მოთხოვნა იყო საქართველოს ბანკზე და მასში დასაქმებაზე. საბჭოს წევრმა

იკითხა, აქვს თუ არა პროგრამას გამოკვლეული შრომის ბაზრის კიდევ უფრო ფართო სპექტრი და რამდენ სტუდენტს მიიღებდა პროგრამა აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ინფორმატიკის ბაკალავრი. ასევე პროგრამაზე იგეგმებოდა 30 სტუდენტის მიღება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ საქართველოს ბანკს კონკრეტულ პროცესებთან შეხება არ გააჩნდა. რექტორის განცხადებით უნივერსიტეტი და პროგრამა ორიენტურებული იყო ხარისხზე და განვითარებაზე.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე ასევე დაინტერესდა, შეეძლო თუ არა საბჭოს დაესკვნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები მხოლოდ ერთ ინსტიტუტზე არ იყო დამყარებული, რაზეც სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოს ბანკში დასაქმება არ იყო პროგრამის განხორციელების მიზანი.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, ხომ არ აჯობებდა პროგრამაში ძირითადი ლიტერატურა ინგლისურიდან შეცვლილიყო ქართულით, რაზეც აკრედიტაციის ექსპერტმა უპასუხა რომ დარგში მასალა სწრაფად იცვლება და მისი თარგმნა ზოგიერთ შემთხვევაში იქნებოდა შეუძლებელი. მან ასევე დაამატა, რომ მისი აზრით, პროგრამაში დაშვების წინაპირობად ინგლისურის ცოდნის მითითება იყო საჭირო და არა მასალის ქართულად თარგმნა.

21:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე-0,

წინააღმდეგი-12.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აკრედიტაციის საბჭო მიიჩვენს, რომ ინფორმატიკის საგანმანათლებლო

პროგრამის წარმატებით ფუნქციონირებისთვის საჭირო იყო რომ უნივერსიტეტს გააჩნდეს სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ექსპერტთა დასკვნით პროგრამისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. საბჭოს ხელთ არსებული დოკუმენტაციის თანახმად, წარმოდგენილ პროგრამას არ გააჩნდა საჭირო ტექნიკური ლაბორატორია (ჰაბი, სვიჩი, ქსელური მოწყობილობები, კომპიუტერის არქიტექტურისთვის საჭირო ლაბორატორია, დედაპლატები, კვების ბლოკი და სხვა ლაბორატორიული ინსტრუმენტები), რაც პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 22:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

ირაკლი ბურდული



მდივანი:

გიორგი ოდოშაშვილი

